# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 121. | კვირა, 25 მაისი 1903 წ. | გაზეთის № 2161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქებათა-ქება

დროთ[illegible]მოიცვალა,
ზნეც შეეცვალა მედასა,
სხვა და სხვა ფერი დაედვა
კაცსა და ცხოველს, ყველასა.
მგელმა უარჰყო მგელობა,
ცხვრის ზნე დასჩემდა ტურასა
და პირზე კლიტეც დაედვა
სახლის ყარაულს მურასა.
მთას მთობა აღარ სწადიან,
აღარც რო ბარსა ბარობა;
გახდა ყვავ-ყორანთ. სათრევლად
წინაპართ მონაგარობა!
ვევედრე ხატსა და ღმერთსა,
მოედო ჩვენზე წყალობა. .
წაიღო ქარმა და წყალმა,
ცრემლით მორწყული გალობა!
გითხარით, არ დაიჯერეთ,
სნეულს უნდაო წამლობა.
მუდამ ჟამს როგორ ვევედრო
მაღლა ცას, დაბლა მიწასა!
ცა ხომ ფერობის ღირსია,
თავს ვინ დაუკრავს ციცასა?
აღარ მწადიან ვიუბნო,
რაც მიღრღნის გულის ფიცარსა;
ცოცხალს ფიქრს ვმარხავ გულშია
და ზედ მივაყრი მიწასა.

—

გუშინა ვნახე ფრინველი
თვის სიმღერაში დნებოდა;
არვინ უშლიდა ხელობას,
ტკბილის ხმებით ძღებოდა
და იქვე გვერდზე მდინარეც
ტკბილ-მოსაუბრე ჰხდებოდა.
ნიავიც მოდუდუნებდა
ველებზე სული ძმიდადა
იგივე იყო უცვლელად,
რაც ათასის წლის წინადა.
არვინ უშლიდა ნავარდსა,
რაც ჰქონდა სადენ მიდადა.
უბინადროთა ბეჩავი,
ხმელეთს თუმცა სცნობს ბინადა;
არვის ჰმტრობს, არცვინ მასა ჰმტრობს,
ცხოვრობს თავისთვინ ტკბილადა.
ფარფატებს მშრომელი კაცის
თავ-შუბლის გასაგრილადა.
ბევრჯელ თუმც მისი წყალობა
მუშას ექცევა ჭირადა
და წუთის სიამოვნება
საწყალს უჯდება ძვირადა.

—

ცაში ღრუბელი ჩიოდა:
-ზა ამირიეს სავალი,
[illegible]ნია ცოცხალ ვარ,

მიდიან წელნი, მრავალი.
ასეთი არ შამხვედრია
ჯერ მე თავ-გადასავალი:
გადამაჩვიეს მეც იმ წესს,
რაც-კი მებოძა ღვთისგანა,
გულ-მკერდს მიპობენ ტყვიითა,
ჭირი იქნება მისთანა?!
თქვენ, კაცნო, მზესაც უმტერებთ,
თუმც არა გყავთ-რა მზისთანა;
თუ მე გსტყუვთ, მზეც ხომ ბევრჯელა
გწვავთ და მოგივლენთ გვალვასა.
არ ვიცი, სადღა წავიდეთ,
თავს სად დავუწყებთ მალვასა;

შიშ უცოდარმა გავიგე
დღეს შიში რაცა ყოფილა;
დაშინებულის ლემიდან
ფიქრიც მშიშარა შობილა.
როდი-და ვიცი, თუ რა ვქნა,
რით მოუარო საქმესა?
უნდა წავიდე, შევჩივლო
ცა-დედა-მიწის გამჩენსა:
რად ითმენს, რად მათმენინებს,
კაცთ თავ-ხედობას ამდენსა!

—

მოსეირნობენ ქუჩაზე
ზაალ, გორჯასპი, სულხანი;




ყვავილების ბაღიდან.—სურათი კიესელისა.

ხელ-ფეხს ჩამედვა ბორკილი,
ველარ ვაუბნებ ენასა.
დაუდნავ ჩემი არსება
ნაღველს და გულის კბენასა.

მემამულენი ქართველთა,
სამივე იყო მსუქანი.
თან ერთმანეთსა ჰკითხავდნ[illegible]
სად არ[illegible]

მხარზე კომბლები გაედვათ,
წელზე ხის ხმლები ეკიდათ;
აჭმარდა პოლიციელი
სამივეს გადაეკიდათ...
დამშვიდდა მაშინ, როცა სცნო,
რომ დგნალის ხმლები ეყიდათ,
თორემ სამივეს დასცრცვიდა
ეს, დაიჯერეთ ბეჯითად!

—

სოფლიდან ქალაქს ჩამოველ,
ქალაქის ნახვა მეწადა;
საცხოვრებელად, რო გითხრათ,
არ გამაჩნია ბეწვადა.
თითო ნაბიჯის გადადგმას
აქ ეწირვება ფულიო;
ამდენის ფულის ძლევასა
თანაც ამოჰყვა სულიო.
ვინაც შემხვდა და ვისც შევხვდი;
ყველა იძახის „ზრასტისა“,
ეს ამოდენა დუნია,
რაც-კი ქალაქში დადის.
შევხედე: მოიზლაზნება
ჩემი ნაცნობი სესეცა,
ქალმებით, ტუაპუწიანი,
გაბრიყვებულა ესეცა.
ეგები ამან მაინცა,
ვსთქვი, მითხრას „გამარჯობაო“,—
სალამი ჩემის ქვეყნისა
გულს მალამოდა ჰხვდებაო.
იმანაც „ზრასტით“ მომმართ,
თავი არ მომიკვდებაო!

—

როცა წვიმის და დელგმისგან
იმღვრევა დიდი მდინარე,
რა დაიფარავს პატარას,
მზე, მთვარე, სხივთა მფინარე,
რომ არ აიმღვრეს ბეჩავი,
თუნდ არ ეწადოს დიდადა
ლაფის და მწურის თავს დასხმა,
დენა ეწადოს წმინდადა?!
ყველაც იმ ხიდზე გაივლის,
რაც დადებულა წინადა!..

—

ეჰ, სხვა რა მეთქმის, მხოლოდ ეს:
ქება-დიდება დროებას,
ბრიყვის და შეუგნებელის
ფიქრსა, აზრსა და შნოებას!
დავრდომილს აუდგომელსა
ფეხებზე ხუნდი მოებას.
აწ გაუმარჯოს სიყმილსა,
სიცივისაგან კანკალსა;
მინდორსა გადახებულს,
ყანას მოწიფულს, სამკალსა,
ჟანგისგან დახრულს და დაჭმულს
მიგდებულს ცელსა, ნამგალსა;
და ოჯახს გავერანებულს
ათასის მტრისგან ნაგალსა,
ჩვენს ამაგს საყვავ-ყორნესა,
ვინ გინდა ვისგან ნადავლსა!

—

ბუხებავ, მინდა რამ გითხრა,
არა ახალი, ძველია:
რამდენს იწველი, იწველი
რძე კი არ გამოგელია?

რამდენს ვაებას ეგ შენი
გულ-მკერდი დაუთელია...
შენი წესი და თავ-ბოლო
საიდუმლობა მთელია.
შენ სხვას ვერაფერს შეიძენ,
მის მეტს რაც შეგიძენია;
რაც გაბადია, მხოლოდ მას
უნდა უცვალო ფერია.
მოკეთე თუმც ხარ თავისა,
მასთან თვისივე მტერია;
მაგრამ ჯერ შენთვის საყელო
არავის დაუჭერია.
სამთხოვარაოდ ვისკენ-და
უნდა გასწვადო ხელია?
თავის-თავს თუ სთხოვ სხვამან ვინ
უნდა მოგართვას ძღვენია?
ნახარჯი ერთის ჯიბისა
მეორეს შაურჩენია.
მაშ კაციც შენებრ ძლიერი
ღმერთს რად არ გაუჩენია?!

—

დამბრუნავს ფიქრი ბოროტი,
თავზე დამძახის ავადა:
არც ყორანია, არც ყვავი,
ფრთებს ათამაშებს შავადა.
კაცი სალი და ჯან-მთელი
ფიქრისაგან ვარ ავადა;
ცეცხლი მედება გულზედა,
მზად არს ჩემს დასაწვავადა.
ვერც დამწვა, აღარც განელდა,
მე ამან დამაავადა.
ვერც მოვიშორე თავიდან,
აღარც ვინ წყალი დამისხა.
ტანჯულ-გვემულმა ოცნებამ
მხოლოდ ეკალი დაისხა.
რა დაჰშრეტს ცეცხლსა, მინამდე
ტირილი ისმის ჩვენითა,—
მანამდე თვალთა ხედვა მაქვს,
არ დავობნდები სმენითა.
უქნარმა, ხელებით დამბლამ
უნდა ვიუბნო ენითა...

გაყა ფშაველა.



ურათი ჯომკინსისა.

# ტყის მცველი ივანე

(ამბავი მესხ-ჯავახთა ცხოვრებიდან)

(შემდეგი*)

ქრისტესშობისთვე იწურებოდა. ძველ წელს სულ ორისამი უჟამური დღეღა დარჩენოდა და თითქოს იმიტომ, რომ სამაგიერო გადაეხადა კაცისთვის, რომელიც ზიზღით და წყევლით იხსენიებდა მოხუც წლის უკანასკნელ ჟამს. დღითი დღე, უფრო და უფრო უმატებდა სუსხს: ხან ბარდნას მოუხშირებდა ხოლმე, თითქოს ჰლამობს სქლად დადებულ თოვლის ქვეშ სულდგმულთა ამოხრჩობასაო, და ხან თოვლს სასტიკის ქარით მსწრაფლ წამოჰკრეფავდა და იწყებდა ზუზუნ-წუწუნით ოღრო ჩოღროს გამსება-გასწორებას. კაციც, დაშინებული ამგვარ უჟამურ ამინდისაგან, იშვიათ გაჭირვებაში თუ სტოვებდა თავის ბინას. სამაგიეროდ, ძველ ფიცრულ ბანებს, გაცრეცილ ხეებს და სხვა მცენარეებს გაებათ შეუთანხმებელი და გულის გამაწვრილებელი კონცერტი, რომელთაც, გეგონებოდათ, შებრალებას სთხოვდნენ ბ

*) იხილე დამატება № 119.

ცანა წელს. ძველი წელიც, მოქანცულობისაგან თუ გამსჭვალული სიბრალულით, ოდნავ დაწყნარდებოდა, რომ შემდეგ, უფრო მძლავრად, უფრო მძაფრად შემოეტია და ნამქერით არემარე დაებნელებინა...

ამ ამინდით ესარგებლნა სოფ. ჩამოჭერის რამდენსამე ახალგაზრდას, რომელნიც სახაზინო ტყიდან შეშით დატვირთულ ციგებს მოასრიალებდნენ და თანაც ხმა მაღლა ლაყბობდნენ.

— აბა, გენაცვათ ჯანჩი, ბიჭებო! კმარა დასვენება, დასძარით ციგები, ნულარ აგვიანებთ, თორემ, ხომ იცით, თუ მოგვასწრო აბეჩიკმა—დედებს გვიტირებს.— უთხრა ამხანაგებს, თოვლისაგან ნახევრად გათეთრებულმა, ქერა, ჯმუხა ბიჭმა და, მხარზე გადაგდებულ საბლით, გაასრიალა მძიმედ დატვირთული ციგა.

— იმი კლიტეც!.. რა უნდა გვიყოს: თითო ციგაზე ორორი შაური და იმისი ჯაჰანი! ნუ გეშინიან, გასაპნილი ღერძი ჭრიალს არ დაიწყებს. გინდ ყოველ დღე იარე, შენ მხოლოდ იმას შავი ფული დაანახე. მე შენ გითხრა, დააძმარებს!—უპასუხა თამამად, ცხვირში დუდუნით, მეორემ და გაჰყვა პირველს.

— აი, შვილოსა, ახლა მიტომ ყოყოჩობ მისირ-ინდოურივით, რომ სოფელს მოვატანეთ და იცი, ამ გვარ დარში არც ის გამოვა! აბა შეგხვედროდა, რანაირ დამბლა დაცემულივით, ენა მუცელში ჩაგვარდნოდა! შენ ციგაში, თუ გაჭირვეულდებოდა, იქნება მანეთიც შეგიძლია და დალრეჯოდი კიდეც: „ამან, ივანეჯან, პროტოხოლი არ შემიყენოვო“.—დაურთო მესამემ და ბუქნით ამხანაგებს გაჰყვა.

— ჰოდა, მედა ჩემმა ღმერთმა, ნუ მოინდომებს შავი აბეჩიკი, თორემ, მე შენ გითხრა, ვერ დაგტრაფებს: პრიჭტავიც იმის ხელთ არის და სუდიაც! იმას შენთვის, ყარდაშ,*) როგორც გეტყობა, კბილი არ გაუკრავს! ბაბაი ვაი!.. მე რომ მაგონდება, ამ ორი წლის წინად რა დღე დააყენეს ფადოანთ ფილოს—ხულაისა, დაწვეს, დადაგეს კაცი!... იმიჰ საქონელი რომ გამოჰყავდათ და ტოლკით ზედი-ზედ ჰყიდდნენ, საწყალი ფილო ისრე ღრიალებდა, გეგონებოდათ ახრჩობენო. იმიჰ ღრიალს აჰყვნენ ახლა ი პატარა იმის ლეკვებიც და—„ნამანა,*) მეორეთ მოსვლა იყო!..

— იმ საქმეში, მგონი, შენც ერიე, აი?!—დეეკითხა მეორე.

— მე კი არა, ხეველებიანათ ათ კაცზედ მეტიც ვიყავით. ჩვენ ჰეჩ, თავები გამოვისყიდეთ: პატივისცემის გარდა, ორორი მანეთი ნაღდი მივეცით ივანეს და რიჟას. სტორე გითხრათ, ჩვენებიანთ ზაქროს ბრალიც იყო საბრალო ფილოს შეცდომა. ფილო უარზედ იდგა: „ივანე აბეჩიკთან ლაპარაკი მომივიდა, ტყეში ვერ წამოგყვებითო“. ზაქრო არ მოეშვა: „მე კარგათ ვიცი, აბეჩიკები ქალაქში არიან წასულიო და თანაც შევიტყე, რომ ნაყარ შეშაზედ ტრაფი აღარ არისო“. ისიც დაიყოლია. ავდექით და... ემენი... ვინ-ვინ ვიყავით?.. მე, ზაქრო, ფილო, კაპეკაანთ პანჭიკა, კუჭოი, კუ...ჭოი... და ჰო, ცხონებული იორდანაანთ გიგოლაი! მოვიბით ციგები და გაუდექით გვერდელას ფიჭვნარისაკენ. ის იყო ტყეს მივატანეთ, რომ რაღაც ხმაურობა მოგვესმა. უსიტყვოთ ცოტცოტათი მიუახლოვდით. ვნახოთ, რას ჰნახავ: ხუთიოდ ხეველს გამოუთხლარშიათ სამი ზორბა ფიჭვი და ჰერიჰა! ისეთი ჩახაჩუხი გაუდით, გეგონებოდათ მთელ ფიჭვნარს ალი მოსდებიაო! კიდევაცა ვსთქვით, ამათ საქმეში ნუ გავერევითო. ყოყმანობა რომ დავიწყეთ, იმ წყეულმა ხეველმა ტროფომ გვითხრა, მოდით, რისა გეშინიათ, აბეჩიკებთან საქმე გაჩისტული გვაქვსო. ვაი-ნაჩარ, ვენდეთ, საჩქაროდ დავაპეთ შეშა, დაუდეთ ციგებს და ფეხი მოუსვით. სულ ორი-სამი...

— ჰაი თუ ტროფომ მოგატყუათ,—ეშმაკი ბიჭია!—შენიშნა მესამემ.

— არ გეტყვი! ემენი... სულ ორი-სამი კალოს ადგილი არ გაგვეარა, რომ უცბად დაგვესხნენ ჩვენი და ოშორის რიჟა აბეჩიკები. ის თქვენ დუშმანს, რაც ჩვენ მაშინ დღე გამოვიარეთ. აბა, სადღა დავემალებოდით! ჩვენ ბედზედ ცოტა გადაკრულნიც იყვნენ ოჯახ-ქორები! რა რიგათ მაშინ ჩვენ გვერ-

*) ძმაო.

*) რაღა გითხრათ.




საბჭოს კომისია ავჭალაში. წყლის დასაწმენდ აუზების მცხოვრებელთა განი




საბჭოს კომისია ავჭალაში. მშვენივრად მოწყობილ აუზებს წყლის გამოსაშვებად კრანი არა აქვს. ამჯობინებენ ასეთ წესს მილის გასახსნელად.

დები აგვიჭრელეს,—ის ერთმა ღმერთმა უწყის! მე ხომ იმის შემდეგ ორიოდე კვირა წელი ველარ ავათრიე! დაგვიკავეს ციგები და თოკები, დაგვტაცეს ნაჯახები (დღესაც უნდა დაგვიბრუნონ) და ხელებ-გაკრულები სოფელჩი ჩამოგვრეკეს. მერმე, ვინ იცის, რამდონი ხე და საქენი შეშა შეგვაწერეს! იმ დინ-ძალლ ჩვენ ტარშინასაც ივანე აბეჩიკთან რალაც ნათლ-მირონობა აქვს და ორ ორი ფეჩატი დეერტყა პროტოხოლზე. ამის მემრე, რა შუა კაცები, რა მისვლა-მოსვლა, რა ძლვნები, ფულის გარდა,—ჩვენ თავები დავიხსენით, პროთოხოლიდგან გაგვაფუჭეს და საბრალო ფილო და იორდანიანთ გიგოლაი კი ადარაფრით ამოხოცეს. ჯიბრი არ იყო! იმის წინეთ ივანე აბეჩიკს ფილოსთვის ერთი ჯვალი ქერი ეთხოვნა და იმას კიდე ეთქვა: „მე მუქთა ქერი არა მაქვსო“.

— ჰაი გიდი დეე!.. რას გაჯიუტებულა ეგ ოჯახ-ქორიც: ერთ ჯვალ ქერს რა დიდი თანხა უნდა ექმნა!

— ჰო და,—განაგრძო ისევ პირველმა,—გიგოლაიც ხომ მოკვდა, ან არც მომკვდარიყო, იმისგან რას წაიღებდნენ! და ის მთელი ტრაფი: ას ოცდა რვა, თუ ას ორმოცდა რვა მანეთი, სულ ფილოს შემოახვიეს. ამოაგდეს კაცი, ა!... ფილოსთვის ვილაც ებრაკათს ერჩია, რომ სუდიაზე ღუბერნატს არზა გაუგზავნე და მოახსენე, რომ მაგოდენა ტყის გაჩეხა სულ შენი ბრალი ხომ არ იყოვო. იმასაც დეეწერინებინა და მიეცა, მაგრამ ეთქვათ, „არზას დაუგვიანებიაო და სუდიაც გამოიცვალაო!“ იჰანი, მიზეზი მოუდეს! აბა დივანხანებჩი *) აბეჩიკის სიტყვას დააგდებდენ და ფილოსას ან აბრაკატისას მიიღებდნენ?! აი, რა შეუძლია აბეჩიკს, ყარდაშ! ტყუილათ კი არ აკრავს იმოდენა ნიშნები!—დარიგების კილოთი დაათავა პირველმა.

— ის როგორღა იყო, რომ ერთი ციგა შეშისთვის მეორედ კიდევ 28 მანეთი გადაახდევინეს?—დაეკითხა მესამე.

— ის კიდევ ფილოს თევდორესთან ერთად ეელო შეშის ბილეთი, მაგრამ ბილეთში თევდორეს სახელი ჩეეწერათ იანლიშათ და ფილოსი კი არა. ამაზე კიდე მიზეზი მოსდო აბეჩიკმა და როცა ფილო ტყიდან ბილეთიან შეშის გამოტანას აპირებდა, დეეჭირა და რაც ახლო-მახლო აბეშიკისგან ჩუმათ გაყიდული ტყე ყოფილიყო, სულ ფილოზე დეეწერა. ჯიბრი არ არის, ყარდაშ! ფილო მაშინვე გაიქცა ნესლიჩთან, თევდორეც წაიყვანა, ბილეთიც წაილო და მოახსენა: „ასრე და ასრე,— თითონ მოგვეცი ბილეთი, ჩემი სახელის ჩაწერა დაგვიიბია და ამაზე აბეჩიკი პროთოხოლს გვიყენებსო“. ეთქვა: „მე მახსოვს: შენისთანა დღეში ორმოცი მოდისო“.

*) სამართლოებში.




წყლის საწმენდი აუზი დაცარიელების შემდეგ.

— ახია სტორეთ ფილოზედაც, შვილოსა!—მიუგო მეორემ,—ეს ხომ იცი, ერთხელ რა დღე დაგაყენა, მეორედ რალათ მიდიხარ ტყეჩი აბეჩიკის უნახავად?! აი ჩვენ, გიორგაანთი, იორდანაანთი და სხვანიც, რაც გინდა ბილეთი გვეჭიროს ხელჩი, მინამ აბეჩიკ არ მოვიკითხავთ და საქმეს არ გივიჩისტავთ, ტყისკენ ფეხსაც კი არ გადავდგამთ. დღესაც უარი ველარ გითხარით, თორემ ქრიჰტეს მადლმა, არ ვაპირებდი წამოსვლას. მაგრამ, ბაბაი ვაი, რა ფულებს ხვეტენ ეგ მურტლები, კულაისა, ხაზინაჩიაც არ იქნება მაგდენი ფული!

— ის კი არა-და, თითქოს გამოგვიცხადეს, რომ საწვავ ნაყარ შეშის გამოტანა უფასოთაც შეგიძლიათო?—დეეკითხა უმალ მესამე.

— რის ფლავი, რის ბოზბაში! აბეჩიკმა არა თქვა: სულ ტყუილია, მახეს გიდგამენ, რომ ტრაფი უნდა დაგაწერონ, ხაზინის გამდიდრება უნდათო, უჩემდა უნახავათ ტყეჩი არავინ წახვიდეთო!

— ეგ აბეჩიკიც რა კლიტე ძაღლია! იმ დღეს არ იყო, რომა...—აქ კიდევ რაღაც უნდა ეამბნა პირველს, მაგრამ ამ დროს უკანიდან, კარგად მოშორებით, ვილაც ცხენოსნებს მოჰკრეს თვალი და ამიტომაც გრიგინით და ფაცხა-ფუცხით ჩაარბენინეს ციგები სოფელში და სახლებს შეეფარნენ.

გ. ახალციხელი

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.